საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/11732
05/12/2023

11732-09-2-202312051654

რაჭის სათემო ორგანიზაცია

პროექტის კორდინატორს ეთერ არსანიძეს

ელ.მისამართი: earsanidze@gmail.com

ქალბატონო ეთერ,

თქვენი 2023 წლის 10 ნოემბრის სსიპ. სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული N38200 წერილის საფუძველზე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემოს სვანეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ 20 ნოემბერს განხორციელდა არაგეგმური სახელმწიფო კონტროლი ი/მ „ვახტანგ ანდრიაძე“-ს (პ/ნ 41001025886 ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა ამბროლაური სადგურის მ/ტ.) კუთვნილ ობიექტში. სახელმწიფო კონტროლის დროს დადგინდა რომ, ბიზნესოპერატორი საქმიანობდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, შემოწმებისას არ ხდებოდა ყველის რეალიზაცია. იგი დაჯარიმდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მუხლი 65 ნაწილი I-ის შესაბამისად (500 ლარით) და შეუჩერდა საქმიანობა რეგისტრაციამდე.

შევსებული იქნა შესაბამისობის შეფასების აქტი და განესაზღვრა გონივრული ვადა რეკომენდაციების შესასრულებლად. ბიზნესოპერატორს მიეცა მითითება რეალიზაციისთვის განკუთვნილი ყველი შეისყიდოს მხოლოდ რეგისტრირებული ოჯახური წარმოების სუბიექტებიდან და აწარმოოს სურსათის მიკვლევადობისთვის საჭირო ჩანაწერები.

პატივისცემით,

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი